მოგესალმებით,

მადლობა რომ დაინტერესდით 2025 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“

1) მაქვს დოქტორის აკად. ხარისხი, თუმცა, ამასთან ერთად ვმუშაობ საჯარო სკოლაშიც. შესაძლებელია თუ არა ვიყო პროექტის ხელმძღვანელი ჩემი სამუშაო სკოლიდან?

პასუხი: დიახ, შეგიძლიათ იყოთ პროექტის ხელმძღვანელი, თუ ხართ დოქტორი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, ამასთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი.
ასევე, პროექტში უნდა ჩართოთ საჯარო სკოლის VIII – XII კლასების მოქმედი მასწავლებელი, როგორც პროექტის თანახელმძღვანელი და დოქტორანტი ან მაგისტრანტი, როგორ პროექტის ასისტენტი.

2) ჩვენი პროექტი ითვალისწინებს საბუნებისმეტყველო (ქიმია) და ჰუმანიტარული (ისტორია) მეცნიერებების მონაწილეობას. ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა თუ არა, რომ პროექტში გათვალისწინებული იყოს 2 მასწავლებელი (ქიმია და ისტორია)? თუ, მე როგორც ჰუმანიტარული მეცნიერებების დოქტორს, შემიძლია ქიმიის მასწავლებელთან ერთად წარმოვადგინო პროექტი?

პასუხი: პროექტის ხელმძღვანელის, პროექტის თანახელმძღვანელის და პროექტის ასისტენტის ჩართულობა პროექტში აუცილებელი პირობაა. რომლის თანახმად, დამატებითი პირი ვერ ჩაერთვება. დიახ, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერებების დოქტორს ქიმიის მასწავლებელთან ერთად შეგიძლიათ წარმოადგინოთ პროექტი.

3) შედეგების ამსახველ მასალაში შესაძლებელია თუ არა წარმოდგენილი იყოს პროექტის მიმდინარეობის ამსახველი ვიზუალური ფოტო/აუდიო მასალა?

პასუხი: დიახ, შესაძლებელია შედეგის ამსახველ მასალად მიუთითოთ „ვიზუალური ფოტო/აუდიო მასალა“. გაითვალისწინეთ, აუცილებელია შედეგის ამსახველი მასალის ველი ასევე უნდა ითვალისწინებდეს „სკოლის ბაზაზე სამეცნიერო-კვლევითი კლუბების დაარსების ან უკვე არსებული კლუბების გაძლიერების ხელშეწყობას“.

4) შედეგების ამსახველ მასალაში კვირეების მიხედვით უნდა იყოს ნაჩვენები რა იყო კონკრეტული კვირეების შედეგი?

პასუხი: ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში gmus-ში კონკურსის ელექტრონული რეგისტრაციის დროს, საშუალება გექნებათ აირჩიოთ პერიოდი, რომელიც შედგება 4 კვირისგან.

„მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ კონკურსის ფარგლებში აუცილებელია თუ არა პროექტის თანახელმძღვანელი, თუ პროექტის ხელმძღვანელი (დოქტორი, მეცნიერ თანამშრომლი) არის საჯარო სკოლის მასწავლებელიც?

პასუხი: კონკურსის დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, პროექტის ხელმძღვანელის, პროექტის თანახელმძღვანელისა და პროექტის ასისტენტის ჩართულობა პროექტში კონკურსის აუცილებელი პირობაა; ამრიგად, აუცილებელია პროექტის თანახელმძღვანელად ჩართული იყოს სკოლის მასწავლებელი.

მსურს მონაწილეობა მივიღო "მეცნიერება იწყება სკოლიდან ... " კონკურსში მაგრამ ვერ დავადგინე თუ რა არის საჭირო აიტვირთოს რეგისტრავიის ეტაპზე. დანართი 1-ის მე-6 მუხლის მეორე პუნქტში ამის შესახებ არაფერი არ არის მითითებული.

პასუხი: კონკურსში მონაწილეობისათვის წარსადგენი დოკუმენტაციის ჩამონათვალი იხილეთ "2025 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ პირობების (დანართი 1) მე-5 მუხლი.

დიდი მადლობა პასუხისათვის, მაგრამ ცოტა გაუგებარია: დანართი პირველის მე-5 მუხლში არის მთელი რიგი პუნქტები, რომლებიც ივსება GMUS-სში და საწყის ეტაპზე მე როგორ უნდა წარმოვადგინო ეს დოკუმენტები თუ თვის ბოლომდე არ შრემეძლება ფონდში მოსვლა? და კიდევ, ამ ცხრა წლის წინათ მე ერთი განაცხადი წარმოვადგინე ფონდში და მოვიგე გრანტი, და მაშინ ფონდის ბიუჯეტისთვის დამჭირდა სპეციალური ფორმის შევსება. ახლა ასეთი ფორმა აღარ არის საჭირო?

კი გამოგიგზავნეთ მეორეთ შეკითხვა, მაგრამ ბოდიში და მინდა ეს მეორე კითხვა დავაზუსტო: თქვენს მიერ მითითებული პირველი დანართის მე-6 მუხლის მე-2 -ია პუნქტია ცოტა დამაბნეველი სადაც წერია, რომ "{2. ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) შემდეგ ბმულზე ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა:" ხოდა აი რა არის საჭირო, რომელიც უნდა იყოს ორი წერტილის შემდეგ-აღარ არის ჩამოთვლილი?

პასუხი: 2025 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის „მეცნიერება იწყება სკოლიდან – კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ პირობების თანახმად, ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) შემდეგ ბმულზე: http://gmus.rustaveli.org.ge. ელექტრონული რეგისტრაციისათვის საჭიროა დანართი 1-ის

მე-5 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენა ელექტრონულად.

დანართი 1-ის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საგრანტო კონკურსში მონაწილეობისათვის ფონდის კანცელარიაში კონკურსანტებმა უნდა წარმოადგინონ: პროექტის წარმდგენი იურიდიული და ფიზიკური პირების ერთობლივი „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ (დანართი, გენერირდება GMUS-ით) დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და ბეჭდით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

აქედან გამომდინარე, ელექტრონული რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, ფონდის კანცელარიაში რეგისტრაციის ეტაპზე (პროექტის ფონდის კანცელარიაში რეგისტრაცია – 2025 წლის 4 ივნისი 18:00 საათამდე) ფონდის კანცელარიაში უნდა მოიტანოთ მხოლოდ „განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ დამოწმებული შესაბამისი ხელმოწერებითა და საჯარო სკოლის ბეჭდით. პროექტის ბიუჯეტი და ბიუჯეტის დასაბუთება ივსება GMUS-ში ელექტრონულად.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში მოგვწერეთ.

საჯარო სკოლის მონაცემების გრაფებში არ ხერხდება ინფორმაციის შეტანა. მხოლოდ შესაძლებელია ს/კ ჩაწერა.
1. როგორ შეიძლება ამ ველების გააქტიურება?

პასუხი:

ელექტრონული რეგისტრაციის ეტაპი გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის ატვირთვას ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (GMUS) შემდეგ ბმულზე: http://gmus.rustaveli.org.ge

მათ შორის, საჯარო სკოლის რეგისტრაციას GMUS-ში („ორგანიზაციის პროფილის“ შექმნა) და კონკურსის პირობებით გათვალისწინებული დოკუმენტების ატვირთვა. კერძოდ, მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად საჯარო სკოლის სამართლებრივი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (საჯარო სკოლის დაფუძნების დოკუმენტი) იტვირთება GMUS-ში შესაბამისი „ორგანიზაციის პროფილში“ PDF დოკუმენტის სახით;

გიგზავნით, ორგანიზაციის პროფილის შექმნის ვიდეო-ინსტრუქციას https://www.youtube.com/watch?v=EQus0vKsmPk

საჯარო სკოლის რეგისტრაციის (ორგანიზაციის პროფილის შექმნის) შემდეგ პროექტში შესაბამის ველში საჯარო სკოლის საიდენტიფიკაციო კოდის ჩაწერისას ინფორმაცია საჯარო სკოლის შესახებ დაგენერირდება პროფილიდან.